



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 066/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ ლევიშვილი (სტუდენტი)

საქმის ფაქტები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოში მიმდინარეობდა საქმის განხილვა მისი მცირეწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე. მისი მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს იცავდა ადვოკატი, რომელმაც საჩივრის ავტორს პროცესის მიმდინარეობისას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და გააჟღერა მცდარი, ღირსების შემლახველი ინფორმაცია. კერძოდ, ადვოკატმა სასამართლოს ღია სხდომაზე წაიკითხა საჩივრის ავტორის მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება - სოციალური მომსახურების სააგენტოში შეტანილი განცხადება. იმ მიზნით, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს შეესწავლა და გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები და მიეღო შესაბამისი დასკვნა სასამართლოში წარსადგენად.

სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგის ან პროცესის მონაწილე სხვა პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის ქცევის მაღალ სტანდარტებს, მის როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. აგრეთვე იხელმძღვანელა მსგავს საქმეებზე ეთიკის კომისიის სხვა გადაწყვეტილებებისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით გამოხატვის თავისუფლების ჭრილში და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება მის მიმართ ადვოკატის მიერ სასამართლოს ღია სხდომაზე გამოთქმულ ღირსების შემლახველ განცხადებებს. ადვოკატის მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოსადმი წარდგენილი განცხადება, რომელიც ერთვოდა სასამართლოს საქმის მასალებს და აგრეთვე ნაწილობრივ გაჟღერებული იყო სასამართლო პროცესზეც, შეიცავდა ცნობებს საჩივრის ავტორის საცხოვრებელი გარემოს, ოჯახური და ეკონომიკური მდგომარეობისა და ცხოვრების წესის შესახებ. განცხადებაში მითითებული იყო, რომ საჩივრის ავტორი განიცდიდა უკიდურეს გაჭირვებას, ჰქონდა მშობლებთან კონფლიქტი, სვამდა და ეწეოდა ამორალური ცხოვრებას. ადვოკატს არ გამოუხატავს სუბიექტური მოსაზრება ან პიროვნული შეფასება მოწინააღმდეგე მხარესთან დაკავშირებით, არამედ ისაუბრა მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის სიმართლესთან შესაბამისობის დადგენისა და გამოკვლევის მიზნითაც მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ვინაიდან სასამართლო დავა ეხებოდა ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრას, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა კლიენტისათვის სასურველი შედეგის დასადგომად. საქმეში წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატის განზრახვას მოწინააღმდეგე მხარის პიროვნული შეურაცხყოფა წარმოადგენდა. შესაბამისად, ადვოკატის განცხადება, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, მიმართული იყო მარწმუნებლის პოზიციის წარმოჩენისა და საქმის წარმატებით დასრულებისაკენ და მიზნად არ ისახავდა საჩივრის ავტორის ღირსების შელახვას. აღსანიშნავია, რომ გამოხატვის

¹ <https://gba.ge/pdf/5c5299bd291c6.pdf/5c5299bd291c6.pdf>

თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესის ხელყოფა. ეთიკის კომისიამ ადვოკატის განცხადებასა და სასამართლოსათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ვერ აღმოაჩინა საჩივრის ავტორის მიმართ უფლებისა თუ ინტერესის ხელყოფის ფაქტი. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატის სიტყვები არ არის პიროვნების ღირსებისა და პატივის შემლახველი, არ არღვევს საზოგადოებაში დამკვირდებულ ზნეობის ნორმებს, რადგან მიზნად ისახავს არა პროცესუალური მოწინააღმდეგის შეურაცხყოფას, არამედ კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას, მხოლოდ ადვოკატის ხელთ არსებული ინფორმაციის კონსტანტაციით და არა საკუთარი შეფასებებით. შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას ადვოკატის მხრიდან მის განზრახ შეურაცხყოფაზე.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქმედებაში ვერ აღმოაჩინა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) და 6.1 მუხლების შესაძლო დარღვევის ნიშნები და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ იძლეოდა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს და არ დააკმაყოფილა საჩივარი.